



არასამთავრობო ორგანიზაცია

კავშირი მდგრადი განვითარებისათვის – “ეკოხედვა/ECOVISION”

საქართველოს კლიმატის ცვლილებისა და მასთან
დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის
პოლიტიკის შეფასება

სარჩევი

თავი I. რეზიუმე	3
თავი II. შესავალი და პრობლემის არსი	5
თავი III. კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის განხილვა	12
III.1. საქართველოს კანონმდებლობა დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან	12
III.2. პოლიტიკის დოკუმენტები დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან	15
III.3. საერთაშორისო ვალდებულებები.....	20
თავი IV. რეკომენდაციები	25

ანგარიშის საავტორო უფლებები და გამოყენება

ანგარიშის მფლობელობის უფლებით სარგებლობს ავტორი - კავშირი მდგრადი განვითარებისათვის – “ეკოხედვა/ECOVISION”. შესაბამისად, მისი ასლის გამოყენება შესაძლებელია ავტორის თანხმობის შემდეგ მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის.

გამოყენების და გავრცელების თანხმობის მისაღებად დაუკავშირდით ავტორს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@ecovision.ge, ან press@redcross.ge, cfe@redcross.at.

თავი I. რეზიუმე

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს პრობლემას. მის მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგები მოქმედებს ადამიანის საცხოვრის გარემოსა და უშუალოდ ადამიანის ჯანმრთელობაზე. კლიმატის ცვლილებას ყველგან ერთნაირი გამოვლინებები არ აქვს, მის მიმართ განსაკუთრებულად მოწყვლადნი არიან მცირე ტერიტორიის, რთული რელიეფისა და სოციალ-ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებული ქვეყნები. სწორედ ასეთი მაღალი მოწყვლადობის ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველო. მისი მდებარეობა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მთათა სისტემის კალთებზე და სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის შავი ზღვის გავლენით ჩამოყალიბებული კლიმატის მრავალფეროვნება ბუნებრივად განაპირობებს ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების სიმრავლეს, რომლებიც კლიმატის ცვლილების პირობებში სავარაუდოდ კიდევ უფრო გაძლიერდებიან. აქედან გამომდინარე ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ერთიანი, ადამიანის ჯანმრთელობაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება, რაც ქვეყანას სამწუხაროდ დღეს ფაქტიურად არ გააჩნია და ეს პოლიტიკა უფრო ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს.

კლიმატის ცვლილების და მისი უარყოფითი შედეგების შერბილება ან მათთან ადაპტაციის ქმედებების შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოწვევას და მიზანს. მათ შორისაა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც თავისი აქტიური ქმედება კლიმატის ცვლილების შერბილებასა და მასთან ადაპტაციისკენ დაიწყო ორგანიზაციის 2007 წლის საერთაშორისო კონფერენციის „ერთად კაცობრიობისთვის“ გადაწყვეტილებების შემდეგ. ორგანიზაციის სტრატეგიაში 2020 წლამდე: *“ჩვენ აგრეთვე შეგვაქვს წვლილი კლიმატის ცვლილების პროგრესირების შემცირებაში ადვოკატირებისა და სოციალურ მობილიზაციის გზით საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის და ნახშირბადის წვლილის შემცირებისთვის”¹*. ამჟამად, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლებაში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებებს ერთ-ერთი მთავარი როლი აკისრია.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია “კლიმატის ფორუმი აღმოსავლეთში”, მეორე ფაზის რეგიონალური პროექტის ფარგლებში. პროექტის ადგილობრივი პარტნიორია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება. რეგიონულ პროექტს კოორდინაციას უწევს ავსტრიის წითელი ჯვარი. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო თანადადამფინანსებლები არიან ავსტრიის განვითარების სააგენტო და ავსტრიის წითელი ჯვარი.

¹

<http://www.ifrc.org/Global/Publications/general/strategy-2020.pdf>

საქართველოს წითელი ჯვრის მიერ გამოცემა რამოდენიმე პუბლიკაცია და საინფორმაციო ბუკლეტი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე². პროექტის ფარგლებში მომზადდა კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასების საქართველოს ანგარიში³, რომელიც ერთ-ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო წინამდებარე ანგარიშის შედგენისას.

ამ ანგარიშის მთავარი სამიზნე ჯგუფია საქართველოს წითელმა ჯვარის ინიციატივით, რეგიონალური პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა (სსო) ქსელის წევრები.

ანგარიშის მიზანია საქართველოს კლიმატის ცვლილებასთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული არსებული პოლიტიკის მიმოიხილვა, ანალიზი, ხარვეზების დადგენა და ამის საფუძველზე რეკომენდაციების მიცემა სსო ქსელის წევრებისთვის, მათი უნარების განვითარება ხელისუფლებასთან, ევროკავშირის ინსტიტუციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პოლიტიკურ დიალოგში მონაწილეობის მისაღებად კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში. აგრეთვე, ნაგარაუდევია, რომ ანგარიშში მოცემული კლიმატის ცვლილებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი და რეკომენდაციები იქნება საფუძველი სსო ქსელის წევრების ამ საკითხზე მომავალი მედია კამპანიის და ადვოკატირების საფუძველი.

დოკუმენტის II-ე თავში (შესავალი და პრობლემის არსი) ზოგადად მიმოიხილულია ქვეყნის კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ეროვნული დოკუმენტები და მისი შესატყვისობა ამ პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო მოთხოვნებისადმი.

დოკუმენტის III-ე თავში (საქართველოს კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის განხილვა), აღწერილია ამ სფეროებში ქვეყნის კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები, გაანალიზებულია მათი ხარვეზები.

დოკუმენტის IV-ე თავი ეთმობა ამ სფეროში პოლიტიკის ანალიზიდან გამომდინარე რეკომენდაციებს და საზღვრავს პოტენციურ მიმართულებებს სსო ქსელის წევრების აქტივობას საკითხის ადვოკატირებისთვის.

დოკუმენტის შემუშავებისას გამოყენებული იქნა ამ ტიპის ანგარიშების შედგენის სტანდარტული მეთოდოლოგია:

1. კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტების და სხვა ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;
2. კონსულტაციები ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;

² <http://www.redcross.ge/en/publication>

³ კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასების საქართველოს ანგარიში. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება. 2014

3. დოკუმენტის პროექტის მომზადება;
4. დოკუმენტის პროექტის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან;
5. საბოლოო დოკუმენტის მომზადება.

თავი II. შესავალი და პრობლემის არსი

ზოგადად, სახელმწიფოს ნებისმიერი პოლიტიკა ეფუძნება სამ სახელმწიფო ინსტიტუციას:

- საკანონმდებლო ბაზა (კანონები და ნორმატიული აქტები, მათ შორის იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები);
- კანონმდებლობის განხორციელების მექანიზმები ე.წ. პოლიტიკის დოკუმენტები (სახელმწიფო კონცეფციები, სტრატეგიები, პროგრამები და მოქმედებათა გეგმები);
- აღსრულების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოები (სამინისტროები, სააგენტოები, დეპარტამენტები და სამსახურები).

საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს ქვეყნის კანონმდებლობის და მისი აღსრულების პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ იურიდიულ აქტს, მათ შორის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში. სახელმწიფოს ფუნქციონირების ეს ორი მიმართულება: გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენენ მჭიდროდ თანაფუნქციონირებად სფეროებს და შემთხვევითი არ არის, რომ აღნიშნული მიმართულებების საკონსტიტუციო დებულებები მოცემულია ერთ მუხლში (მუხლი 37):

1. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით, სარგებლობის უფლება. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.
2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.
3. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.
4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.
5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ ქვეყნის გარემოს დაცვის მთავარი ამოცანაა: *ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პუნქტი 4.)*. აქედან

გამომდინარე ამ ორი მიმართულების საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნორმები სრულად და სინერგიულად უნდა იყოს ასახული მათი პოლიტიკის განმსაზღვრელ კანონებში და ნორმატიული აქტებში.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის ცვლილების გლობალური პრობლემა თითქმის არ არის ასახული ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტებში.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონეზე აღიარებულია კლიმატის ცვლილების უდიდესი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ დადგენილია კლიმატ-დამოკიდებული დაავადებების საკმაოდ დიდი ნუსხა და კლიმატის ცვლილების ზეგავლენის პროგნოზი ადამიანის ჯანმრთელობაზე⁴ (იხ.ცხრილი 1), საქართველოში ამ ფაქტმა სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობაში თუ პოლიტიკის დოკუმენტებში.

ცხრილი 1: კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე XXI-ე საუკუნის შუა პერიოდისთვის

კლიმატის ცვლილების ეფექტები		რისკი ჯანმრთელობისთვის	ზემოქმედება ჯანმრთელობაზე	სავარაუდო ზემოქმედების დონე
პირდაპირი ეფექტები	ცხელი დღეების და ღამეების რაოდენობის ზრდა; თბური ტალღების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა; ხანძრების რისკის ზრდა ნაკლები ნალექების გამო.	სიცხესთან დაკავშირებული სიკვდილიანობის ზრდა; სიცხისგან გამოფიტვის და ინსულტის შემთხვევების ზრდა, განსაკუთრებით საველე პირობებში მომუშავეთათვის, სპორტსმენებისა და ხანშიშესულთათვის; გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და თირკმლის დაავადებები; ოზონის შრესთან და ჰაერის დაბინძურებასთან (მოხშირებული ხანძრების გამო) დაკავშირებული რისკები; ნაადრევი სიკვდილიანობის ზრდა თბური ტალღების პირობებში.	ტრამვების, ავადმყოფობების და სიკვდილიანობის გაზრდილი რისკი ინტენსიური თბური ტალღების გამო.	ძალიან მაღალი
	ცივი დღეებისა და ღამეების რაოდენობის შემცირება.	სიცივესთან დაკავშირებული სიკვდილიანობის, გულსისხლძარღვთა და რესპირატორული დაავადებების შემცირება, განსაკუთრებით ხანშიშესულ მოსახლეობისთვის.	სიცივესთან დაკავშირებული სიკვდილიანობის და ავადობის მცირე კლება.	დაბალი

⁴ http://apps.who.int/iris/bitstream/10665/189951/1/9789241565073_eng.pdf?ua=1

ეფექტები გამოვლინებული ბუნებრივი სისტემების მეშვეობით	მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა; ცვლილებები ნალექებში; ზედაპირული წყლების ტემპერატურის მატება	პათოგენური ორგანიზმების ზრდა; ავადობათა გეოგრაფიული არეალის და სეზონურობის ცვლა; წყლის რესურსების კლებისგან გამოწვეული მოსახლეობის ჰიგიენის პრობლემები; სასმელი წყლის და სანიტაციის ინფრასტრუქტურის დაზიანება და წყლის რესურსების გაზრდილი დაბინძურება წყალდიდობების გამო.	წყალთან და საკვებთან დაკავშირებული დაავადებების რისკის ზრდა.	მაღიან მაღალი
	მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა; ცვლილებები ნალექებში;	პარაზიტების გავრცელების ზრდა და გაგრძელებული ტრანსმისიული სეზონი; ადრე დამარცხებული ავადობების ხელმეორედ გამოვლინება; ავადობათა გადამტანების გავრცელების და რაოდენობის ზრდა და მათი კონტროლის ღონისძიებათა ეფექტურობის შემცირება	გადატანის გზით გავრცელებული ავადობების რისკის ზრდა	საშუალო
ეფექტები გამოვლინებული საზოგადოებრივი სისტემების მეშვეობით	მაღალი ტემპერატურა და ცვლილებები ნალექებში	სურსათის წარმოების შემცირება, განსაკუთრებით ტროპიკებში; სურსათზე ხელმისაწვდომობის შემცირება საკვების დაბალი მომარაგების და გაზრდილი ფასების გამო; მრავალმხრივი უარყოფითი ეფექტები დაკავშირებული არასაკმარის კვებასთან და ინფექციურ დაავადებებთან; ეფექტები დაკავშირებული ბავშვების ნორმალურ ზრდასთან.	არასაკმარისი კვების რისკის ზრდა გამოწვეული სურსათის ნაკლებობით ღარიბ რეგიონებში	მაღალი
	მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა	გარე სამუშაოზე დასაქმებული და დაუცველი მოსამსახურეები იმულებულნი არიან იმუშაონ ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ ან დაკარგონ სამუშაო და შესაბამისად შემოსავალი.	უარყოფითი გავლენა მოსამსახურეთა ჯანმრთელობაზე, შრომის უნარიანობაზე და პროდუქტიულობა ზე, განსაკუთრებით მოწყვლად მოსახლეობაში.	მაღალი
კომბინირებული	კლიმატის ცვლილების	ზემოთაღნიშნული რისკების კომბინაცია	გლობალურად, ჯანმრთელობაზე	მაღალი

ეფექტი	ზოგადი ზემოქმედება		უარყოფითი გავლენის ეფექტები აჭარბებს დადებით ეფექტებს	
--------	--------------------	--	---	--

კლიმატის ცვლილების სწორი პოლიტიკის გატარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ პოლიტიკის აღსრულებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს და მათი ამ მიმართულებით შესაძლებლობათა ზრდა სახელმწიფოს საზრუნავი უნდა იყოს. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ზოგად პოლიტიკაზე პასუხისმგებელი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (www.moe.gov.ge), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი უწყება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (www.moh.gov.ge).

აღნიშნული ორი სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობენ ისეთ ურთიერთგადამკვეთ საკითხებზე, როგორებიცაა ჰაერის და წყლის ხარისხი, ნარჩენების მართვა და სხვა. განძრახულია საერთო დოკუმენტის, *გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მოქმედებათა გეგმის (NEHAP)* შემუშავება, სადაც მოთავე ორგანიზაციაა ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (www.ncdc.ge). აღსანიშნავია, რომ ასეთი გეგმა საქართველოსთვის ახალი არ არის. პირველი გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მოქმედებათა გეგმის (NEHAP) შემუშავება დაიწყო 2001 წელს და დამტკიცდა 2003 წელს, თუმცა მისი განხორციელება ფაქტიურად არ მომხდარა. პირველი მოქმედებათა გეგმა ცალკე არ განიხილავდა კლიმატის ცვლილების საკითხებს, ამიტომ საჭიროა ახალ გეგმაში ეს პრობლემა ცალკე იყოს გამოყოფილი, ვინაიდან ზოგადად კლიმატის ცვლილება არის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო ფაქტორების კუმულატიური გამოხატულება.

უნდა აღინიშნოს, რომ ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის ან/და სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას ხაზს უსვამს ქვეყნის პოლიტიკის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი:

- *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“⁵*
- *2016-2019 წლებისათვის შედგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.*

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი

⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილება „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“.

⁶ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2016-2019 წლებისათვის (საქართველოს მთავრობა, 2015). <http://www.mof.ge/4542>

მიმართულებების განმსაზღვრელ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური დაგეგმვის ძირითად დოკუმენტს, რომელშიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები 2020 წლამდე. ამ დოკუმენტში გარკვეული ადგილი უჭირავს კლიმატის ცვლილების საკითხს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე საქართველო გაატარებს განვითარებული ქვეყნების მხრიდან ფინანსებითა და ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ კლიმატის ცვლილების „ეროვნულად მისაღებ შემარბილებელ ქმედებებს“, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ენერგოდამზოგავი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვას.

კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ შესაძლო საფრთხეებს ეხება ამ დოკუმენტის ის ნაწილიც, რომელშიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს ხედვა ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებაზე. კერძოდ, სტრატეგიის მიხედვით „ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას გლობალური დათბობის ნეგატიური ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკაზე. მოსალოდნელი ზიანის დროული პროგნოზირებისა და პრევენციის მიზნით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს რისკების შემცირებას“ და რომ „გლობალური დათბობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების აღმოსაფხვრელად ეროვნულ დონეზე ძალისხმევასთან ერთად, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფონდებიდან (მწვანე კლიმატის ფონდი, გლობალური გარემოს დაცვის ფონდი და სხვ.) მოზიდული იქნება კონვენციით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ინვესტიციები“.

2016-2019 წლებისათვის შედგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის თანახმად ამ წლებში ქვეყნის სამი მთავარი პრიორიტეტიდან ერთ-ერთი იქნება „სახსრების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორცაა საპენსიო უზრუნველყოფა, სოციალური სფერო, ჯანდაცვა ..“. სპეციალური თავი, რომელიც ეძღვნება გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, განსაზღვრავს უშუალოდ კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის საკითხებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მომზადდება კლიმატის ცვლილებასთან ეკონომიკის დარგებისა და ეკოსისტემების ადაპტაციის ეროვნული გეგმა და დაბალემისიანი განვითარების ეროვნული სტრატეგია. განხორციელდება საადაპტაციო და კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები.“ ამ ჩანაწერში მოყვანილი ორი დოკუმენტი მუშავდება დონორების დახმარებით, ხოლო ჩანაწერი კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ღონისძიებებზე მეტად ზოგადია. მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას და ამ ზოგადი ჩანაწერის დეტალურ გაწერას სახელმწიფო ბიუჯეტში.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი მომზადებულ ეროვნულ კომუნიკაციების პროცესში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (წითელი ჯვარი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ავსტრიის განვითარების სააგენტო, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, გაეროს

განვითარების პროგრამა და სხვა), დახმარებით შემუშავდა ცალკეული რეგიონების თუ დარგის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევები, გეგმები თუ სტრატეგიები, მაგრამ ისინი არა არიან ოფიციალური სტატუსის მატარებელი და მათი დებულებები თუ რეკომენდაციები სუსტად არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობასა და სტრატეგიებში.

ქვეყნის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ის საერთაშორისო პროცესები და დოკუმენტების დებულებები და მოთხოვნები, რომლებზეც საქართველოა მიერთებული, მითუმეტეს, რომ საქართველოს კანონის ნორმატიული აქტების შესახებ (2009) მე 7-ე მუხლის თანახმად საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონით (1997) დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

სამწუხაროდ საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები მწირედ არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში. გარდა ამისა საქართველოს, როგორც კონვენციათა და საერთაშორისო შეთანხმებათა მხარეს უფლება აქვს ავტომატურად გამოიყენოს და თუ საჭიროა მცირე ადაპტირების შემდეგ დაამტკიცოს ეროვნულ დონეზე, კონვენციათა და საერთაშორისო შეთანხმებათა ფარგლებში მომზადებული სხვადასხვა სახელმძღვანელო და მეთოდოლოგიური ხასიათის დოკუმენტები და ამით შეასრულოს, როგორც ნაკისრი ვალდებულებები, ისე დაზოგოს რესურსები მათი დამოუკიდებლად მომზადებისთვის. ასევე სამწუხაროდ, ასეთი პრაქტიკა ქვეყანაში თითქმის არ არის, თუ არ ჩავთვლით მცირე გამონაკლისებს, ძირითადად, საერთაშორისო მიდგომების ზოგადი პრინციპების ჩართვის სახით ეროვნული დონის პოლიტიკის დოკუმენტებში.

კლიმატის ცვლილების გამოვლინებების ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ხშირად განიხილება ერთ კონტექსტში. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ „საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტი“ (CEA),⁷ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გარემოს დეგრადაციისა და ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენების სოციალურ და ეკონომიკური დანახარჯებზე. აღნიშნულია, რომ 2012 წელს, ადამიანის საქმიანობით და ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების გამო საქართველოს გარემოს და ადამიანების ჯანმრთელობას მიადგა თითქმის ორი მილიარდი ლარის ზიანი ანუ მშპ -ს 7.5%. ზიანის დათვლა ეფუძნება მოცემული ე.წ. „სტატისტიკური სიცოცხლის ღირებულებას“ (Value of statistical life) საქართველოსთვის, რომელიც ერთი ადამიანისთვის მერყეობს 0.24 დან - 0.71 მლნ. ა.შ.შ. დოლარამდე, როცა ეს რიცხვი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებისთვის შეფასებულია 1.45 მლნ. დოლარად.

⁷ Georgia Country Environmental Analysis Institutional, Economic, and Poverty Aspects of Georgia's Road to Environmental Sustainability. Report No: 94211-GE .WB -2014

კლიმატის ცვლილების პროგნოზული მაჩვენებლები, როგორც გლობალურად ისე ქვეყნისათვის დამაიმედებელი არ არის და სავარაუდოდ მისი გამოვლინებების ზემოქმედება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. როგორც მსოფლიო ბანკის ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტიდან ჩანს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი უდიდეს ეკონომიკურ პრობლემასაც წარმოადგენს და კლიმატის ცვლილების შერბილების და მასთან ადაპტაციის საკითხები მთელი საზოგადოების, მათ შორის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი ძალისხმევით საგანი უნდა გახდეს.

კლიმატის ცვლილების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე აქტიურად განიხილება **გარემო და ჯანმრთელობის დაცვის ევროპული პროცესში**, რომელიც დაიწყო 80-იანი წლების ბოლოს და რომლის ფარგლებშიც ტარდება ევროპის ქვეყნების გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვაზე პასუხისმგებელი მინისტრების შეხვედრები. ბოლო შეხვედრა გაიმართა იტალიის ქ. პარმაში სადაც რეგიონის ქვეყნებმა მიიღეს პარმის დეკლარაცია (2010), გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვაზე, სადაც გამოხატეს მზადყოფნა გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მთავარი პრობლემების გადაჭრისათვის. დეკლარაციაში გამოყოფილია ოთხი პრიორიტეტი:

- ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა
- ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა კლიმატის ცვლილებისგან
- ბავშვთა, ახალგაზრდობის და სხვა პარტნიორების ჩართვა პროცესში
- არსებული ცოდნის და ინსტრუმენტების გამოყენება პოლიტიკის განხორციელებისთვის.

აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელებისთვის შემუშავდა ევროპის რეგიონალური ჩარჩო პროგრამა „**ჯანმრთელობის დაცვა კლიმატის ცვლილების გარემოზე ზემოქმედების პირობებში**“ (2010). აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ კლიმატის ცვლილების შერბილების და მასთან ადაპტაციის ყველა სტრატეგიულ დოკუმენტში გათვალისწინებული იქნას ჯანდაცვის საკითხებიც და გაიზარდოს ჯანდაცვის სექტორის წვლილი სათბური გაზების შემცირების მოქმედებებში.


2015 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მასთან არსებული სამუშაო ჯგუფის „ჯანდაცვა კლიმატის ცვლილებების პირობებში“ ჩაატარა კვლევა თუ როგორ ახორციელებენ ევროპის ქვეყნები ჩარჩო პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა კლიმატის ცვლილების გარემოზე ზემოქმედების პირობებში“ ასახულ მოთხოვნებს. შეფასებაში მონაწილეობდა 22 ევროპული ქვეყანა. რა თქმა უნდა ეს შეფასება სრულ სურთს ვერ ასახავს მაგრამ წარმოდგენას გვაძლევს საშუალო მაჩვენებლებზე⁸.

აღნიშნული კვლევის თანახმად კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული და ადგილობრივი სტრატეგიები დამუშავებულია ქვეყნების 63.6%-ში, აქედან ეს დოკუმენტები დამტკიცებულია მხოლოდ 40.9%-ში.

⁸ http://www.euro.who.int/data/assets/pdf_file/0007/276118/Implementing-Euro-Framework-Action-protect-health-climate-change-ru.pdf?ua=1

კვლევაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩვენს მიერ აიგო დიაგრამა (იხ დიაგრამა 1), სადაც ნაჩვენებია გამოკითხული ქვეყნების მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ხარისხი.

დიაგრამა 1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები კლიმატთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციების დროს (გამოკითხული 22 ევროპული ქვეყანის მიხედვით %-ში).



ამ ჩამონათვლიდან ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია კლიმატის ცვლილების მიმართ ჯანდაცვის საპასუხო მოქმედებათა გეგმა, რაც საქართველოს დღესდღეობით არ გააჩნია, მაგრამ იგეგმება საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის მეორე ეროვნული გეგმის (NEHAP-2) ფარგლებში.

თავი III. კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის განხილვა

III.1. საქართველოს კანონმდებლობა დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან

წინა თავში (თავი 2) განხილული იყო ქვეყნის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ქვეყნის მთავარი კანონი - საქართველოს კონსტიტუცია და მიმდინარე პოლიტიკის აღსრულების მთავარი დოკუმენტები: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2016-2019 წლებისათვის.

ამ თავში განხილულია კლიმატის ცვლილებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა და მათი აღსრულების პოლიტიკის დოკუმენტები. განხილულია, აგრეთვე აღნიშნულ სფეროებში საერთაშორისო კონვენციები, რომლებზეც საქართველოა მიერთებული და კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო პროცესები.

როგორც გარემოს ისე ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში მოქმედებს ძირითადი ე.წ. ჩარჩო კანონები:

- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (10.12. 1996. N 519-III) და
- საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (10.12.1997. N 1139 -III).

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ ძირითადად ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც დეკლარირებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების კონფერენციის მიერ⁹.

კანონის თითქმის ყველა მუხლი პირდაპირ თუ ირიბად ზოგადად არეგულირებს ყველა იმ საქმიანობას რაც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან, თუმცა უნდა გამოვყოთ ორი მუხლი(მუხლი 13 და 51), რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს კლიმატის ცვლილებასთან. აღნიშნული მუხლები აწესებენ შემდეგ ნორმებს:

მუხლი 13(ყ). სამინისტროს კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში

კლიმატის ცვლილების გამომწვევი ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრა და მათი გაფრქვევის მონიტორინგი;

მუხლი 51. კლიმატის დაცვა გლობალური ცვლილებებისაგან

1. გლობალური ცვლილებისაგან დედამიწის კლიმატის დაცვის მიზნით საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაიცვას ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების გამოყოფის (ემისიის) ნორმები და განახორციელოს მათი შემცირების ღონისძიებანი.
2. სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების გამოყოფა რეგულირდება გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის საფუძველზე.
3. საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში გლობალური ცვლილებებისაგან კლიმატის დაცვის სამართლებრივ რეჟიმს აწესებს საქართველოს კანონმდებლობა.

კანონში (მუხლი 17) ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში ხორციელდება ეკოლოგიური დაზღვევა, მათ შორის ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის ობიექტების სავალდებულო ეკოლოგიური დაზღვევა.

აღნიშნული მუხლი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ კანონის ეს მუხლი დღემდე არ ამუშავებულა და არ არსებობს მისი განხორციელების მექანიზმები.

საქართველოს გარემოს დაცვის კანონით (მუხლი 14) შემოღებული იქნა საზოგადოებრიობის ინფორმირების მნიშვნელოვანი მექანიზმი - გარემოს მდგომარეობის

⁹ United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992.

შესახებ ეროვნულ მოხსენების (ყოველწლიურად, მოგვიანებით მიღებული ცვლილების მიხედვით კი ყოველ 3 წელიწადში ერთჯერ) შემუშავება და დამტკიცება.

საქართველოს კანონის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (თავი XV) ეძღვნება მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვას საგანგებო მდგომარეობების - სტიქიური უბედურებების და ტექნიკური კატასტროფების დროს. კანონის (მუხლი 90) მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, სამედიცინო დაწესებულებები და შესაბამისი პროფესიული გაერთიანებები მონაწილეობენ მოსალოდნელი კატასტროფების სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. აღნიშულია (მუხლი 92), რომ სამედიცინო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც ეროვნული რეაგირების გეგმის შესაბამისი იქნება.

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1999). ეს კანონი ყველაზე მნიშვნელოვანია და გააჩნია პირდაპირი მიმართება კლიმატის ცვლილების სამართლებრივ ასპექტებთან. კანონის 53-ე მუხლი (კლიმატის დაცვა გლობალური ცვლილებებისაგან) ადგენს, რომ გლობალური ცვლილებებისაგან კლიმატის დაცვის მიზნით სავალდებულოა ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების ემისიის ნორმების დაცვა და მათი შემცირების ღონისძიებათა განხორციელება. ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ხოლო კლიმატის ცვლილებაზე დაკვირვებას, ანალიზს, პროგნოზირებასა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ახორციელებს სამინისტროს სიტემაში შემავალი გარემოს ეროვნული სააგენტო.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლამდე კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტი შეიცავდა ფორმულირებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში გლობალური ცვლილებებისაგან კლიმატის დაცვის სამართლებრივი რეჟიმი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო მომავალში მისაღები *“საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში გლობალური ცვლილებებისაგან კლიმატის დაცვის შესახებ”*, საქართველოს კანონით. აღნიშნული ფორმულირება 2011 წელს კანონში შეტანილი ცვლილების (11.03.2011. N4386) შედეგად იქნა ამოღებული.

ამგვარად, კანონი კლიმატის ცვლილების საკითხთან მიმართებაში მკაფიოდ ადგენს:

- კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავების ვალდებულებას (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საერთო კოორდინაციით) და
- კლიმატის ცვლილებაზე დაკვირვების, ანალიზის, პროგნოზირებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების ვალდებულებას (უშუალოდ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ).

კანონით განსაზღვრული არ არის კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით რომელიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება - გარდა კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამისა და მოქმედებათა გეგმისა, რომელიც არ შესრულებულა.

საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ (2014). კანონით ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული:

- ა) „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი (2005 წ.);
- ბ) „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (2007 წ.).

კანონის ერთ-ერთი მიზანია საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის, ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების და გარემოს დაცვა; მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვას საგანგებო სიტუაციების პრევენციით და მათზე რეაგირების ორგანიზებით;

კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური პირების და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შექმნისა და საქმიანობის წესს, ამ სისტემის სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს.

კანონის აღსრულებაზე სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას და სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას

III.2.. პოლიტიკის დოკუმენტები დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან

გარემოს დაცვაში მთავარი პოლიტიკური დოკუმენტია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N127 განკარგულებით მიღებული *„გარემოს დაცვის მოქმედებათა*

პროგრამა 2012-2016 წლებისთვის“ (NEAP), რომელიც შემუშავებულია გარემოს დაცვის ჩარჩო კანონის მოთხოვნით (მუხლი 15). ამ მუხლის თანახმად გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემა მოიცავს გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამებს, რომლებიც დგება ეროვნულ რეგიონალურ, ადგილობრივ და უწყებრივ დონეებზე. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ეროვნული (ხუთწლიანი) პროგრამის გარდა არაფერერი შემუშავებულია. კანონის თანახმად გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა მტკიცდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით. (24.11.2011 N 5289)

პროგრამა, სხვა მიმართულებებთან ერთად მოიცავს ასევე კლიმატის ცვლილებასაც. გარდა პრობლემური მიმართულებებისა პროგრამა მოიცავს ზოგადი შინაარსის მიმართულებებსაც, რომლებშიც შეჯამებულია ის ურთიერთგადამკვეთი საკითხები, რომლებიც რამოდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა და შესაბამისად, მათი მოგვარება ერთნაირად სარგებლის მომტანი იქნება ყველა გარემოსდაცვითი სექტორისთვის. გარემოსდაცვითი საკითხების რთული და ინტერსექტორალური ბუნების გამო, გარემოსდაცვითი სტრატეგიისა და პოლიტიკის ინტეგრირების აუცილებლობა სხვა დარგების განვითარების გეგმებსა თუ პოლიტიკაში კი მიმოხილულია პროგრამის ცალკე ნაწილში.

კლიმატის ცვლილების სფეროში ძირითადი პრიორიტეტებია: ბუნებრივ ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, ტყეებისა და მიწის დეგრადაცია, გაუდაბნობა, მყინვარების დნობა, ნიადაგის ნაყოფიერებისა და წყლის რესურსების შემცირება, და გახშირებული კატასტროფები.

პროგრამის მიხედვით საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემებიდან გამოიკვეთილია რთული მდგომარეობა კლიმატის ცვლილების მიმართ განსაკუთრებულად მოწყვლად რეგიონებში და ნათელი სურათის არქონა კლიმატის ცვლილების შესაძლო გავლენის შესახებ საქართველოს სხვა რეგიონებსა თუ სექტორებზე.

პროგრამის მიხედვით კლიმატის ცვლილების სფეროში დასახული იქნა შემდეგი გრძელვადიანი (20 წელი და მეტი) მიზნები:

- საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებების გატარების გზით
- სათბურის ეფექტის მქონე გაზების ემისიების შემცირება

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დასახული მოკლევადიანი (5-წლიანი) მიზნები და შესაბამისი ქმედებებით:

- მიზანი 1 - საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელება კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლად რეგიონებში
- მიზანი 2 - კლიმატის ცვლილების გავლენის დადგენა სხვა რეგიონებსა და სექტორებზე
- მიზანი 3 - სათბურის გაზების ემისიების შემცირების ხელშემწყობი გარემოს შექმნა

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია 2014-2020¹⁰
ეყრდნობა რიგ საერთაშორისო შეთანხმებებს და ეროვნულ კანონებს და სტრატეგიებს. ამათ შორის აღსანიშნავია: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ბიუროს „ჯანმრთელობა 2020“ პლატფორმა¹¹; ადელაიდას შეთანხმება „ჯანმრთელობა ყველა პოლიტიკაში“¹². ეროვნულ დონეზე კონცეფცია ეყრდნობა შემდეგ პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტებს: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“; საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები; 2012, 2013 და 2014 წლების სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“; განვითარების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების ანგარიში; საქართველოს კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997), „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ (2007), „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (2001), „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000) და ამ კანონებიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტები; ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია 2000-2009 წწ.; ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია „ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა“ - 2011-2015 წწ., „ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“ - 2013 წ.

პროგრამა მიზნად ისახავს უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტური მექანიზმებისა და ორმხრივი/მრავალმხრივი სამოქმედო გეგმების შემუშავებას, მათ შორის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აქტიური ჩართულობით ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების საზიანო ზემოქმედებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფისათვის, რისთვისაც შეიქმნება დაავადებათა პრევენციის, კონტროლისა და ინტეგრირებული ეპიდზედამხედველობის სისტემა და შემუშავდება გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული გეგმა (NEHAP).

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია

ყურადღებას ამახვილებს გამჭვირვალობის და საზოგადოების ჩართულობაზე ჯანდაცვის სფეროში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სსო-ების საქმიანობისთვის. სტრატეგიის თანახმად

ჯანდაცვის სფეროში, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორი, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- ჯანდაცვის სექტორში საბიუჯეტო რესურსების დაგეგმვისა და განკარგვის პროცესის სრული გამჭვირვალობით;
- მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობით;

¹⁰ 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ დამტკიცების შესახებ (მთავრობის დადგენილება №724, 26.12.2014)

¹¹ <http://www.euro.who.int/en/health-topics/health-policy/health-2020-the-european-policy-for-health-and-well-being>

¹² www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/.../Health-in-All-Policies-final.pdf

- მოსახლეობისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტებია:

- „საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება“;
- „საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში“;
- „საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული ანგარიში“;
- მოქალაქეებისთვის ელექტრონული პორტალი.

წარმოდგენილი სტრატეგიით, მთავრობა მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ავადობის ტვირთის და სიკვდილიანობის შემცირების გზით და სახავს 26 ინიციატივას ამ მიზნის მისაღწევად.

სტრატეგიის თანახმად, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების ეფექტური დანერგვისათვის და ცხოვრების ჯანსაღი წესის მულტიექტორული სტრატეგიების განხორციელების მიზნით, გაძლიერდება თანამშრომლობა განათლების, გარემოს დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებთან, სამოქალაქო რეესტრთან და სხვა უწყებებთან.

საქართველოს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა (2015) წარმოადგენს ერთიანი სისტემის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას და ეფუძნება საგანგებო მართვის გეგმებს და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმებს.

იგი არეგულირებს მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) დროს ერთიანი სისტემის სუბიექტების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების შექმნასა და მართვას.

გეგმის თანახმად საქართველოს ტერიტორია და ქალაქები იყოფა ჯგუფებად, ხოლო ორგანიზაციები – კატეგორიებად, მათი თავდაცვითი, ეკონომიკური, ადმინისტრაციული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე ტერიტორიისა და ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის, ორგანიზაციების პოტენციური საშიშროების, სტრატეგიული მნიშვნელობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ხარისხის შეფასების მიხედვით. აღნიშნულ ჯგუფებსა და კატეგორიებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გამოცემებით, სპეციალური ლიტერატურით, სარეკლამო პროდუქციით, თემატური გამოფენების, ჩვენებებისა და კონფერენციების მოწყობითა და მოსახლეობის ინფორმირების სხვა ფორმებით, რომლებიც შეზღუდული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობისათვის მიწოდებული ინფორმაცია საჯაროა და მოიცავს:

- ა) პროგნოზირებადი და წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ მონაცემებს და მისი გავრცელების საზღვრებს;
 - ბ) საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს შესახებ მონაცემებს, ავარიის დროს
 - რისკის ხასიათის, ადამიანსა და გარემოზე ავარიის ზემოქმედების შესაძლებლობის შესახებ მონაცემებს;
 - გ) საგანგებო სიტუაციის შედეგებს;
 - დ) საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესებს;
 - ე) მოსახლეობის დასაცავად განხორციელებულ ღონისძიებებს და მიღებულ ზომებს.
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აკრძალულია შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ მოსახლეობისათვის ინფორმაციის:
- ა) დაფარვა ან/და არასწორი ინფორმაციის მიწოდება;
 - ბ) დაგვიანებით მიწოდება.

პოლიტიკის განხორციელების დოკუმენტების: კონცეფციების, სტრატეგიების, პროგრამების და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი შედეგის მეთოდოლოგიურ ნაწილს. ამ საკითხზე არსებობს მრავალი სახელმძღვანელო დოკუმენტი თუ გზამკვლევი გამოცემული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომელთა ადაპტაცია ხდება ეროვნულ დონეზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონეზეც კი უშუალოდ კლიმატის ცვლილებასა და ჯანდაცვასთან მიმართებაში ისინი არც თუ ისე ბევრია. ამ მხრივ განსაკუთრებულად აღსანიშნავია **გზამკვლევი სამოქმედო გეგმისთვის - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა თბური ტალღების გავლენისგან**¹³. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლობის შედეგად. აღნიშნული გზამკვლევი შემუშავდა პროექტის “უსაფრთხო და სტაბილური თემების ჩამოყალიბება” ფარგლებში, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ავსტრიის წითელი ჯვრის მხარდაჭერით.

გზამკვლევი ეხება ადამიანის ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გამოვლენას, როგორცაა თბური ტალღები და მათ საწინააღმდეგო მოქმედებათა გეგმის შემუშავების ასპექტებს, როგორც ადგილობრივ ისე ეროვნულ დონეზე.

გზამკვლევაში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე, თბური ტალღების გამოვლინების სხვადასხვა ფაზები და მოქმედებათა გეგმა აღნიშნული ფაზების მიხედვით, პრობლემასთან დაკავშირებული აუცილებელი პროტოკოლები, მოქმედებათა გეგმის განხორციელების აღმასრულებელი ორგანოები და რეკომენდაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ გზამკვლევი სრულად შეესაბამება ამ პრობლემისადმი საერთაშორისო მიდგომებს და უაღრესად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. კარგი იქნება თუ აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცდება მთავრობის მიერ, როგორც საქართველოს

¹³ გზამკვლევი სამოქმედო გეგმისთვის - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა თბური ტალღების გავლენისგან. საქართველოს წითელი ჯვარი. თბილისი -2015.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრატეგიის ან მოქმედებათა გეგმის შედგენის რეგლამენტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

III.3. საერთაშორისო ვალდებულებები

ქვეყნის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ის საერთაშორისო პროცესები და დოკუმენტების დებულებები და მოთხოვნები, რომლებზეც საქართველოა მიერთებული, მითუმეტეს, რომ მათ აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით.

ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია *გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC-1992)*, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს.

კონვენციის შესაბამისად, ქვეყნები ვალდებული არიან შეძლებისდაგვარად გათვალისწინონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოსაზრებები სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებისას და ღონისძიებათა მიღებისას. მხარეებს და მათ შორის საქართველოს ეკისრებათ კონკრეტული ხასიათის ვალდებულებებიც¹⁴. ამ ვალდებულებებიდან ერთი-ერთი განსაკუთრებული ინტერესის საგანი უნდა იყოს სსო ქსელის წევრების საქმიანობისთვის:

- კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების პრობლემების შესახებ საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; საზოგადოებისათვის კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საზოგადოების მონაწილეობა კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების საკითხების განხილვასა და რეაგირების შესაბამის ღონისძიებათა შემუშავებაში; და სამეცნიერო, ტექნიკური და მმართველი პერსონალის მომზადება.

კონვენციის შემადგენელი ნაწილია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორცაა *კონვენციის კიოტოს ოქმი*, რომელსაც საქართველო მიუერთდა 1999 წლის ოქტომბერში. მონაწილე მხარეებისთვის კიოტოს ოქმით განისაზღვრა სათბური გაზების ემისიების ზღვრულად დასაშვები მოცულობები და ემისიებით ვაჭრობის მექანიზმი. აღნიშნული ოქმის და კონვენციის მოთხოვნათა განხორციელებისთვის შეიქმნა სუფთა განვითარების მექანიზმის (სგმ) ეროვნული საბჭო და ჩამოყალიბდა სუფთა განვითარების მექანიზმის პროექტების განხილვის პროცედურა;

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მოთხოვნების თანახმად, კლიმატის ცვლილების პრობლემაზე ქვეყანაში წარმოებული საქმიანობა პერიოდულად ჯამდება ეროვნულ შეტყობინებებში, რომლებიც განიხილება და ფასდება კონვენციის მმართველი ორგანოს - მხარეთა კონფერენციის წლიურ შეხვედრებზე. 1999 და 2009 წლებში საქართველოს მიერ წარდგენილი ეროვნული შეტყობინებების შემდეგ 2012 წლიდან ქვეყანამ მუშაობა დაიწყო და 2015 წელს მომზადდა *კლიმატის ცვლილების ჩარჩო*

¹⁴

http://unfccc.int/key_documents/the_convention/items/2853.php.

*კონვენციისადმი საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება*¹⁵. დოკუმენტი მოიცავს სათბურის გაზების ეროვნულ ინვენტარიზაციას 1990–2011 წლებისთვის.

შეტყობინებაში ვრცლადაა განხილული მოწყვლადობისა და ადაპტაციის საკითხები სხვადასხვა სექტორის (სოფლის მეურნეობა, სტიქიური პროცესები, ტყის სექტორი, ჯანდაცვა, ტურიზმი, მყინვარები და წყლის რესურსები, დაცული ტერიტორიები, ენერჯეტიკის სექტორი) მიხედვით.

გეოგრაფიულ ჭრილში შეტყობინებაში აქცენტი გაკეთებულია საქართველოს 3 რეგიონზე: აჭარა, ზემო სვანეთი და კახეთი. შეტყობინების მიხედვით ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს რეგიონისთვის სპეციფიური პრობლემატური საკითხები.

კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში შეფასდა ჯანდაცვის სექტორის მოწყვლადობა საქართველოს აღნიშნულ სამ რეგიონში, სადაც კლიმატის ცვლილება მკვეთრად არის გამოხატული. ასევე საქართველოს წითელი ჯვრის პროექტის „კლიმატის ცვლილება - აღმოსავლეთის“ ფარგლებში შეფასებულ იქნა ურბანულ გარემოზე - თბილისზე „თბური ტალღების“ ზეგავლენა, რაც ასევე შეტანილ იქნა ამ საბოლოო ანგარიშში.

შეფასებები განხორციელდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით. კერძოდ, ჯანმოს მიერ მოწოდებულია იმ დაავადებათა ნუსხა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება კლიმატის ცვლილებას. კლიმატ-დამოკიდებულ დაავადებათა შორის განიხილება: ტრავმები, ინფექციური დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის პათოლოგიები, ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობები და სხვა.

მესამე ეროვნულ შეტყობინებაში ასევე შესულია საქართველოს სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში 2014-2025 წლებისთვის. სტრატეგიის მიზანია კონკრეტული კურსის განსაზღვრა ეკოსისტემების მოწყვლადობის შესარბილებლად და ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად.

აღნიშნული სტრატეგიით, ჯანდაცვის სფეროსთვის განსაზღვრულია ძირითადი სტრატეგიული მიზანი: კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება საქართველოს ჯანდაცვის სექტორზე. ადაპტაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება.

ეს მიზანი უნდა განხორციელდეს რიგი აქტივობებით:

- კლიმატის ცვლილების გავლენის შესწავლა ჯანდაცვის სექტორზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და რეგიონული პრიორიტეტების განსაზღვრა საადაპტაციო ღონისძიებებისა და სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად;
- მონიტორინგის განხორციელება კლიმატდამოკიდებული დაავადებების ტრენდებზე და ახალი ტიპის დაავადებების დაფიქსირებაზე;
- სამედიცინო პერსონალის ცნობიერების ამაღლება კლიმატდამოკიდებულ დაავადებებთან მიმართებაში;

- რეგიონების და ეროვნულ დონეზე სამოქმედო გეგმების მომზადება კლიმატდამოკიდებული დაავადებების გავრცელების რისკების შესამცირებლად.

სტრატეგია, თავისი სტრუქტურითა და შინაარსით სამოქმედო გეგმის ფორმას ატარებს, თუმცა მისი დებულებები ასახული უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკის ოფიციალურ დოკუმენტებში.

2015 წელს მომზადდა და კლიმატის ცვლილების კონვენციის სამდივნოს წარედგინა საქართველოს „წინასწარ განსაზღვრული ეროვნული წვლილის“ (INDC) დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია სათბური გაზების შემცირების გეგმა 2020–2030 წლებისთვის და ადაპტაციის სფეროში არსებული პრიორიტეტული მიმართულებები.

2015 წელს, კლიმატის ცვლილების კონვენციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად საქართველომ დაიწყო „პირველი განახლებული ორწლიური ანგარიშის“ მომზადება, რომელიც მოიცავს სათბურის გაზების ინვენტარიზაციას 2013 წლის ჩათვლით, ქვეყანაში მიმდინარე შემარბილებელი ღონისძიებების აღწერას და მონიტორინგის, ანგარიშგებისა და დადასტურების სისტემის არსებული მდგომარეობის შეფასებას.

საქართველოს დელეგაციამ 30 ნოემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ კლიმატის ცვლილების კონფერენციაში (გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის 21-ე სესია). საქართველოს დელეგაცია აქტიურად იყო ჩართული მოლაპარაკებათა პროცესში, მონაწილეობდა პლენარულ სხდომებში, საკონტაქტო ჯგუფების მუშაობაში, ასევე თანმდევ შეხვედრებში¹⁶. კონვენციის მხარე ქვეყნებმა მიიღეს ახალი ხელშეკრულება („პარიზის შეთანხმება“¹⁷), რომლითაც თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება კლიმატის ცვლილების გლობალური პრობლემის გადაჭრის გზაზე.

კლიმატის ცვლილებასთან კავშირშია სხვა გარემოსდაცვითი კონვენციები და ხელშეკრულებები. მათ შორის აღსანიშნავია:

გაეროს კონვენცია გაუდაზნოებასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD-1992), რომელსაც საქართველო 1999 წელს შეუერთდა. კონვენციის მიხედვით „გაუდაზნოება“ ნიშნავს მიწის დეგრადაციას არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბნოტიო რაიონებში, გამოწვეულს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის კლიმატური ცვლილებით და ადამიანის საქმიანობით.

გაუდაზნოება მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის, როგორც მცირემიწიანი აგრარული ქვეყნისათვის. თუმცა, საქართველოს პირობებში გაუდაზნოება შეზღუდულია გეოგრაფიული არეალით. მიწის დეგრადაციის ისეთი ფორმები კი, როგორცაა გაუტყეურება, ქარისმიერი და

¹⁶ <http://moe.gov.ge/files/PDF%20%20qartuli/Angarishi/.pdf>

¹⁷ <http://www.c2es.org/international/paris-agreement>

წყლისმიერი ეროზია, მეწყერები, გადაჭარბებული ძოვება, ნიადაგის გამოფიტვა, ნიადაგის დაბინძურება და ა.შ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება თავისი თანამდევი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით. ამიტომ, გაუდაბნობა უნდა განიხილული იქნეს კომპლექსურად - მიწის დეგრადაციის და მიწის მდგრადი მართვის პრობლემის კონტექსტში.

კონვენციის მიზანია იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნობას, გაუდაბნობასთან ბრძოლა და გვალვის შედეგების შემცირება უნდა განხორციელდეს ეფექტური ზომების გამოყენებით და ინტეგრირებული მიდგომის ჩარჩოებში, რომლებიც შეესაბამება მდგრადი განვითარების პრინციპებს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მონაწილე მხარეებმა შეიმუშაონ გრძელვადიანი ინტეგრირებული სტრატეგია, ერთდროულად მიმართული მიწის პროდუქტიულობის გაზრდისათვის და მიწისა და წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი მართვისათვის.

კონვენციის მონაწილე მხარეთა ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს გაუდაბნობის წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამების შემუშავება.

საქართველოს გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა შემუშავებული იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უშუალო კოორდინაციით და იგი დამტკიცებული იქნა 2003 წელს, ხოლო 2014 წლისთვის შემუშავებული და დამტკიცებული იქნა გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა.¹⁸

კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD-1992) ქმნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების სამართლებრივ საფუძვლებს. საქართველო ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მონაწილე მხარეა 1994 წელიდან. კონვენციასთან მიერთებით ქვეყანამ აღიარა, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება გლობალურ საზრუნავსა და განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კონვენცია ამკვიდრებს ახალ მიდგომებს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სფეროში.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეგიდით მიმდინარეობს მუშაობა ასევე, ე.წ. ურთიერთგადამკვეთ მიმართულებებზე - ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ბიომრავალფეროვნება და კლიმატის ცვლილება. ამ მიმართულებით ტექნიკურ დონეზე რამოდენიმე ძირითადი საკითხის დამუშავება ხდება, მათ შორის კლიმატის ცვლილების მიმართ ბიომრავალფეროვნების ადაპტაციისა.

ამ მიმართულებით უპირატესობა ენიჭება ე.წ. „ეკოსისტემური მომსახურების მიდგომაზე“ დაფუძნებულ ადაპტაციის მეთოდებს. აგრობიომრავალფეროვნების კუთხით, როგორც საადაპტაციო ღონისძიება - განიხილება გენეტიკური ბანკების ფორმირება და მათი ეფექტური ფუნქციონირება¹⁹. მიმართულება კონვენციის მხარეებისთვის ხელშემწყობ სამეცნიერო-ტექნიკურ ხასიათს ატარებს.

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის №742 დადგენილება „გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

¹⁹ Integrating Biodiversity into Climate Change Adaptation Planning Purpose. <http://adaptation.cbd.int/>

*მერების შეთანხმება*²⁰— ინიცირებულია ევროკავშირის მიერ ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით მუშაობენ ენერჯის ეფექტურობის ზრდასა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებაზე თავიანთ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმომწერების მიზანია CO₂-ის ემისიების მინიმუმ 20%-ით შემცირება 2020 წლისთვის, რითაც წვლილი შეაქვთ მწვანე ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ინიციატივა გაცდა ევროკავშირის ფარგლებს და

მას შეუერთდნენ სხვა ქვეყნები, მათ შორის საქართველოც. ამჟამად საქართველოს მხრიდან შეთანხმების ხელმომწერია 13 ქალაქი, აქედან 8-ს გააჩნია მოქმედებათა გეგმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ 2015 წლის 25 სექტემბერს მიღებული იქნა *მსოფლიოს მდგრადი განვითარების მიზნები („17 მიზანი მსოფლიოს ტრანსფორმაციისთვის“)*²¹. ახალმა მიზნებმა შეცვალეს კარგად ცნობილი ათასწლეულის განვითარების მიზნები. მიზანი 3 ეძღვნება ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს („ჯანმრთელი ცხოვრების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასათვის და ყველა ასაკისთვის“). აღნიშნულ მიზანს აქვს 13 ქვემიზანი, რომელთა შესრულებას შეეცდებიან ქვეყნები 2030 წლამდე.

მიზნების (მიზანი 13) შემადგენელი ნაწილია „გადაუდებელი მოქმედებები კლიმატის ცვლილებისა და მისი ზემოქმედების წინააღმდეგ“. მიზანი შეიცავს 5 ქვემიზანს, რომელთაგან ერთ-ერთი აღნიშნავს კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებების გათვალისწინებას ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და გეგმებში.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები მირითადად განპირობებულია იმით, რომ საკანონმდებლო მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ბევრად ჩამორჩება ამ მხრივ საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრინციპებს და ვალდებულებებს. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები სრულად არ არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში და მეტწილად ზოგადი ნორმებისა და პრინციპების სახით გვხვდება. ამ მხრივ მდგომარეობის გამოსასწორებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს *საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით* გათვალისწინებულ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

ასოცირების შეთანხმებაში (კარი VI. თავი 4) საუბარია თანამშრომლობის განვითარებაზე და გაძლიერებაზე კლიმატის ცვლილების დასაძლევად და იგი მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, მათ შორის უსაფრთხო და მდგრადი დაბალნახშირბადიანი შემცველობისა და საადაპტაციო ტექნოლოგიების კვლევას, განვითარებას, დემონსტრირებას, დანერგვას, გავრცელებას და კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრაციას. აღნიშნულია, რომ უნდა მომზადდეს და განხორციელდეს „ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (NAPA); „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია“ (LEDS) - „ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებების“ ჩათვლით, კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დარგობრივ პოლიტიკაში ინტეგრაცია და სხვა.

²⁰ <http://www.merebisshetankhmeba.eu/>

²¹ <http://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/>

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კონკრეტულ ევროპულ საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების ღონისძიებები ასახულია შეთანხმების XXVII დანართში.

ასოცირების შეთანხმების იმავე კარის მე-15-ე თავი განიხილავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს. მხარეები თანხმდებიან, რომ განავითარებენ თანამშრომლობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უმთავრეს კომპონენტს (მუხლი 355).

თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ კონკრეტულ სფეროებს (მუხლი 356):

(a) საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, კერძოდ, ჯანმრთელობის სექტორის რეფორმის გაგრძელების, მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების, ჯანმრთელობის სფეროში მმართველობისა და ჯანდაცვის დაფინანსების სრულყოფის გზით;

(b) ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და გადამდებ დაავადებათა კონტროლი, როგორებიცაა, მაგალითად, აივ ინფექცია/შიდსი, ვირუსული ჰეპატიტი, ტუბერკულოზი და ანტიმიკრობული რეზისტენტობა, ასევე - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წინაშე არსებული საფრთხეებისა და საგანგებო სიტუაციების მიმართ გაზრდილი მზაობა;

(c) არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი, ძირითადად ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობის იმ მთავარი დეტერმინანტების გათვალისწინებით, როგორიცაა კვება, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და თამბაქოს მიმართ დამოკიდებულება;

(d) ადამიანის ბიოლოგიური მასალის ხარისხი და უსაფრთხოება;

(e) ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და ცოდნა; და

(f) ჯანმრთელობის სფეროში იმ საერთაშორისო შეთანხმებების ეფექტური იმპლემენტაცია, რომლებიც აღიარებულია მხარეებს შორის, კერძოდ, ჯანმრთელობის შესახებ საერთაშორისო რეგულაციები და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჩარჩო კონვენცია.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას შეთანხმების XXXI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

თავი IV. რეკომენდაციები

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასების საქართველოს ანგარიშში²² გამოყოფილია რამოდენიმე

²² კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასების საქართველოს ანგარიში. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება. 2014

მიმართულება, რომელთაც სსო ქსელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს. მათ შორისაა კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე. სსო-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს კლიმატის ცვლილების პრობლემატიკის ადვოკატირება მმართველობის თუ მოსახლეობის დონეზე.

წინამდებარე ანგარიშში არ არის განხილული ადვოკატირების პრინციპები და ხერხები. ეს საკითხი კარგადაა გაშუქებული საქართველოს წითელი ჯვრის მიერ გამოცემულ დოკუმენტში: „ადვოკატირების ინსტრუმენტები“²³.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად : „ადვოკატირება არის პროცესი, რომლის დროსაც ინფორმაციის გამოყენება ხდება მიზანმიმართულად, რათა შეიცვალოს ის პოლიტიკა და პრაქტიკა რომელიც შეეხება მიზნობრივ ჯგუფებს“.

ნებისმიერი მოქმედებების დაწყების პირველი ნაბიჯი უნდა დაიწყოს საკითხის SWOT (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზით. იგი წარმოადგენს არსებული სიტუაციის შეფასებას ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე და გამოსატულია მკითხველისთვის ადვილად აღქმად და ლოგიკური ფორმით. ასეთი ანალიზის მთავარი მიზანია დაადგინოს ძირითადი გარე და შიდა ფაქტორები, რომლებიც დადებით თუ უარყოფით გავლენას ახდენენ მიზნის მიღწევისთვის. ასეთი ფაქტორების ჩამონათვალი გვამღებენ ნათელ სურათს თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება სსო ქსელის წევრებმა მათ მუშაობაში.

ცხრილი 2. საქართველოს კლიმატის ცვლილებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • საქართველო მიერთებულია კლიმატთან დაკავშირებულ კონვენციებს და აღებული აქვს კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებები • საქართველო მონაწილეობს „გარემო და ჯანმრთელობა“ ევროპულ პროცესში • ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა კლიმატის ცვლილებას • კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი ეროვნული კომუნიკაციები • ხელმისაწვდომობა კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო სხვადასხვა ფონდებზე • საქართველოს გარემოს დაცვის 	<ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო კვლევების სიმცირე კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისა ადამიანის ჯანმრთელობაზე • კლიმატის ცვლილების პრობლემისადმი სისტემური მიდგომის არარსებობა მთავრობის დონეზე • კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გამოცდილების ნაკლებობა • ადგილობრივი თვითმმართველობების ნაკლები ჩართულობა კლიმატის ცვლილების და ჯანდაცვის პრობლემატიკაში • ქვეყნის მწირი ფინანსური შესაძლებლობები • ინფორმაციის და მონაცემთა ნაკლებობა

²³ ადვოკატირების ინსტრუმენტები. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება. თბილისი-2013 <http://www.redcross.ge/ge/component/k2/item/33>

<p>მოქმედებათა პროგრამა (2012-2016) შეიცავს თავს კლიმატის ცვლილებაზე</p> <ul style="list-style-type: none"> • დაწყებულია მუშაობა გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მოქმედებათა გეგმაზე (NEHAP) • წითელი ჯვრის ორგანიზაციის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელის წევრებს აქვთ გამოცდილება კლიმატის ცვლილების სფეროში • შემუშავებულია ქვეყნის კლიმატის ცვლილებასთან მოწყვლადობის ანგარიში 	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატის ცვლილების და ჯანდაცვის პრობლემატიკაში ჩართული მხარეების სუსტი კოორდინაცია • საზოგადოების არასაკმარისი გაცნობიერება და ჩართულობა კლიმატის ცვლილებასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში • საზოგადოების განათლების დაბალი დონე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედებისა ადამიანის ჯანმრთელობაზე და მასთან ბრძოლის მეთოდებზე
<p>შესაძლებლობები</p>	<p>საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> • ცვლილებები მთავრობის მოქმედებებში პრობლემასთან დაკავშირებით • დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი, სინერგიული მოქმედებები • კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოცდილების გაღრმავება ადამიანის ჯანმრთელობისთვის რისკის შემცირებაში • კლიმატის ცვლილებასთან მოწყვლადობის ანგარიშების მომზადება ადგილობრივ დონეზე • საზოგადოების და თვით სსო-ს ცნობიერების ამაღლება • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის პრობლემატიკის ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული ინსტიტუციების გაძლიერება • კლიმატის ცვლილების და ჯანმრთელობის პრობლემატიკის ჩართვა ქვეყნის განვითარების სტრატეგიებში და გეგმებში 	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური და სხვა რესურსების ნაკლებობა • არაადეკვატური კანონმდებლობა და პოლიტიკა • არაეფექტური ინსტიტუციები და მათ შორის კავშირები • პოლიტიკოსების და მთავრობის სკეპტიკური დამოკიდებულება კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ • ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის მნიშვნელობის გაგების ნაკლებობა ადგილობრივ თვითმართველობებში • კლიმატთან დაკავშირებული მონაცემების სიმწირე • სსო-ების ცუდი კოორდინაცია • უპირატესად დონორების მიერ მართული პროცესები და მათ შორის სუსტი კოორდინაცია • ჯანდაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებათა არშესრულება • კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის და მისი ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა სიძვირე

აღნიშნული ანალიზი გვაძლევს ზოგად წარმოდგენას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ზოგად სურათზე საქართველოში, რაც აუცილებელია საკითხის ერთიანი გააზრებისთვის. უფრო კონკრეტული პრობლემატიკა მოცემულია ცხრილი 3-ში.

ცხრილი 3. საქართველოს კლიმატის ცვლილებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისათვის

N	ქვეყნის კლიმატის ცვლილებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ხარვეზები	რეკომენდაციები
1	კონსტიტუციით დადგენილი ნორმები სრულად და სინერგიულად არ არის ასახული მათ პოლიტიკის განმსაზღვრელ კანონებში და ნორმატიულ აქტებში.	კონსტიტუციამ გარემოსა და ჯანდაცვის საკითხები ასახა ერთ მუხლში, როგორც ყველაზე ურთიერთგადამკვეთი სფეროები. ამიტომ აუცილებელია ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება.
2	არ ასეობს ერთიანი კანონმდებლობა თუ სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს იყო კანონის ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ მოთხოვნა (ამოღებულია 2011 წელს).	საჭიროა აღნიშნული მუხლის აღდგენა ან ასახვა სხვა საკანონმდებლო აქტში.
3	არ ამოქმედებულა რიგი მუხლებისა საქართველოს კანონისა გარემოს დაცვის შესახებ რომელთაც შეხება აქვთ კლიმატის ცვლილებასთან, კერძოდ: გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამების სავალდებულოება ადგილობრივ და უწყებრივ დონეზე (მუხლი 15) და მუხლი 17 ეკოლოგიური დაზღვევის შესახებ.	შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება. კლიმატის ცვლილების ადამიანის საცხოვრისისა და ჯანმრთელობაზე სულ უფრო მეტი ზემოქმედების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური დაზღვევის შემოღება.
4	2016-2019 წლებისათვის შედგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის განვითარების სტრატეგიის (სტრატეგია 2020) აღსრულების მექანიზმას, ჩანაწერი კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ღონისძიებებზე მეტად ზოგადია, მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას და ამ ზოგადი ჩანაწერის დეტალურ გაწერას სახელმწიფო ბიუჯეტში.	დოკუმენტის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ჩანაწერების ასახვა ქვეყნის მთავარ ფინანსურ კანონში.
5	ქვეყნის დარგობრივ თუ რეგიონალურ განვითარების გეგმებში და სტრატეგიებში კლიმატის ცვლილების საკითხები ფაქტიურად ასახული არ არის.	გეგმების და სტრატეგიების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კლიმატურ პარამეტრებში არსებული და მოსალოდნელი ცვლილებები, მათი შესაძლო ზეგავლენა ადამიანის

		ჯანმრთელობაზე და ინტეგრირებული უნდა იქნეს კლიმატის ცვლილებისადმი საადაპტაციო და შემარბილებელი ღონისძიებები.
6	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვის საკითხები არ არის ან ძალზე ირიბადაა ასახული ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობაში და პოლიტიკის დოკუმენტებში.	კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ბევრ საერთაშორისო დოკუმენტშია გაწერილი. საჭიროა ამ საკითხის წინ წამოწევა, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტებში. „თბური ტალღების“ დროს კლიმატ- დამოკიდებული დაავადებების მართვის კომპონენტის გაძლიერება.
7	გარემოსა და ჯანმრთელობის პირველი გეგმა (NEHAP-2003) პრაქტიკაში არ განხორციელებულა. გეგმა ცალკე არ განიხილავდა კლიმატის ცვლილების საკითხებს, ამიტომ საჭიროა ახალ გეგმაში ეს პრობლემა ცალკე იყოს გამოყოფილი და ამ მიმართებით მუშაობა უკვე დაწყებულია.	საჭიროა სსო-ქსელის წევრებმა მოაწიონ შეხვედრა გარემოსა და ჯანმრთელობის გეგმის შემუშავებელ ჯგუფთან, რათა ავიცილოთ პირველი გეგმის ბედი და ახალ გეგმაში სათანადოდ იქნეს ასახული კლიმატის ცვლილებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები.
8	საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები მწირედ არის ასახული ქვეყნის კანონმდებლობაში.	საქართველოს კანონმდებლობით საერთაშორისო ვალდებულებებს უპირატესი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა ეს ვალდებულებები არ არის გაწერილი ადგილობრივ კანონმდებლობაში, რაც აუცილებელია მათი აღსრულების მექანიზმების შემუშავებისთვის.
9	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საკანონმდებლო მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ბევრად ჩამორჩება ამ მხრივ საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრინციპებს და ვალდებულებებს.	როგორც ავლნიშნეთ საერთაშორისო ვალდებულებები მწირედ არის ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში ამიტომ ეს ავტომატურად იწვევს ჩვენი პოლიტიკის ჩამორჩენას კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში.
10	მიუხედავად კლიმატის ცვლილების ამკარა ზემოქმედებისა სხვადასხვა სექტორების თუ რეგიონების ფუნქციონირებაზე ნაკლებია ამასთან დაკავშირებული საჭირო მეთოდოლოგიური და სახელმძღვანელო მასალები.	დაგეგმარების სახელმძღვანელოების (მეთოდური მითითებების) შემუშავება სექტორების მიხედვით, რომელშიც მოცემული იქნება ტექნიკურ- ეკონომიკური ხასიათის საცნობარო მასალა დაგეგმარების

		პრაქტიკული მაგალითებით.
11	საკმარისად არ არის გააზრებული, რომ კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებთან და მის გამოვლინებებთან ბრძოლას გააჩნია დადებითი მულტიეფექტები.	განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ე.წ. „არა წამგებიანი“ (no regret ან win-win) საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლებიც იქნებიან ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით სარგებლის მომტანი.
12	დონორების დახმარებით მიმდინარეობს მრავალი პროექტის განხორციელება კლიმატის ცვლილების სფეროში თუმცა სუსტია კოორდინაცია დაინტერესებულ მხარეებს შორის, რაც ქმნის საქმიანობის პარალელიზმის საფრთხეს.	ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის ჩამოყალიბება სპეციალური ვებ-პორტალის სახით (clearing house mechanism) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სხვადასხვა პროექტების ფარგლებში კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ხელმისაწვდომობას და ინფორმაციის გაცვლას. აგვაცილებს კვლევების დუბლიკაციას.
13	კლიმატის ცვლილების ექსტრემალური გამოვლინებების წინასწარი შეტყობინების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.	როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა (თბილისის 2015 წლის ივნისის მოვლენები) ასეთი სისტემა მოითხოვს გადაუდებელ სრულყოფას. საჭიროა ყველა შესაბამისი სტრუქტურის აღჭურვა თანამედროვე დიაგნოსტიკური, მონიტორინგის და ტექნიკური საშუალებებით.
14	სამეცნიერო და საგანმათლებლო მუშაობა კლიმატის ცვლილების და მის ზემოქმედებაზე ადამიანის ჯანმრთელობაზე არასაკმარისია და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს.	საჭიროა სამეცნიერო კვლევების დაფინანსება და საგანმანათლებლო პროგრამებში კლიმატის ცვლილების პრობლემატიკის ინტეგრირება.

აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება მთელი საზოგადოების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი ძალისხმევით საგანი უნდა გახდეს. სწორედ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალია გაუწიონ ადვოკატირება ქვეყნის კლიმატის ცვლილების და ჯანდაცვის პოლიტიკის ხარვეზების გამოსწორებას და ამით

ხელი შეუწყონ ამ საკითხზე სწორი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, რაც თავის მხრივ პოლიტიკის შეცვლის ყველაზე ძლიერი ბერკეტია.

ამ პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი მერაბ შარაბიძე და ის არავითარ შემთხვევაში არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

